ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2319351

ნომერი: AR1359211

თარიღი : 25.11.2015

გაცემის თარიღი : 02.12.2015

გაცნობის თარიღი : 02.12.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ბოჭორმის , N 29 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გარატელ ალახვერდოვა პ/ნ 01017038734
- თბილისი ნ.ჟვანიას ქ. N 6 ბ. 28

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

ამხანაგობის კუთვნილ კედელზე სარეკლამო აბრის მოწყობის და საკადასტრო საზღვრებში დროშების დასამაგრებელი ლითონის მილების განთავსების შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილული იქნა თქვენი საკითხი თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი-ისანი, ბოჭორმის ქუჩა №29-ში, ამხანაგობის კუთვნილ კედელზე შპს "კასპიჯიო"-ს მიერ სარეკლამო აბრის მოწყობას და საკადასტრო საზღვრებში დროშების დასამაგრებელი ლითონის მილების განთავსებას.

პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება პირველი კლასის ობიექტს, რომელიც არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური.

”მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის (საკადასტრო კოდი №01.17.13.047.001, ასევე საპროექტო ფოტომონტაჟი) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი-ისანი, ბოჭორმის ქუჩა №29-ში, ამხანაგობის კუთვნილ კედელზე შპს "კასპიჯიო"-ს მიერ სარეკლამო აბრის მოწყობის და საკადასტრო საზღვრებში დროშების დასამაგრებელი ლითონის მილების განთავსების შესაძლებლობას.

აქვე გაცნობებთ, რომ დროშების დასამაგრებელი ლითონის მილების განთავსება უნდა განხორციელდეს ამხანაგობის კუთვნილი მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრებში და უზრუნველყოფილი უნდა იქნას მისი კონსტრუქციული მდგრადობა.

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.